

№ 217 (4727)

1972 წ.


ნოემბერი, ოთხშაბათი. შანი 3 კვ.

საპარტიზალოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურის და სპორტის კომიტეტისა და სპორტსაზოგადოებრივი საბჭოს ორგანო

გაზეთი გამოდის 1984 წლის 18 აპრილიდან

საპარტიზალოს სპორტსაზოგადოებრივი და უწყვეტის სპარტაკიადა

# იბედის თვალთ



ქართულ ფარეგობაზე ხატოვანდ შეიძლება ითქვას: იგი იმ ავადმყოფს ჰგავს, რომელმაც მძიმე ოპერაცია გადაიტანა, მაგრამ მომავალს იმედის თვლით შეხვედრებს. დიას, ჩვენს ფარეგობას მართლაც მოუხდა დიდი სიმძიმის გადალახვა. მართლაც წარმოდგენილია ასე არ ყოფილიყო, ვინაიდან ერთდროულად დატოვეს სარბიელი პირველსაბრუნველმა მუშეებებმა. იყო დრო, როცა ჩვენს პარტიზალურ ფარეგობას კვლავ აღორძინებას მაგრამ ახლა შეიძლება ვთქვათ, რომ ვცდებით. თუმცა იმის ვერ ვიტყვი, თითქმის ქართულ ფარეგობაში დღეს ყველაფერი რიგზეა და მწერინელებს, სპეციალისტებს, სპორტსმენებს შეუძლიათ მშობილად აღვიწინ თვალთ მის განვითარებას.

არა, საქმე მთლად ასე როდია. დღეს ჩვენში ექსტრა-კლასის სპორტსმენთა თითქმის არ არის, თითქმის კი არა, საერთოდ არ გვყავს ახლა ქართულმა მუშეებებმა და, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, მათმა მწერინელებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ ფარეგობის კარგი ტრადიციების აღსადგენად. ისინი მონდომებით შეუდგნენ

ამ ლამაზი სახეობის აღორძინების საქმეს. ახალი საფარეგობა დარბაზი უნდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წყალუბრი გასადა. კვლავ ძველებურად ახმაურდა საფარეგობა ბილიკები.

და მაინც, არ ვიქუებით მართალი, თუ არ ვიტყვი, რომ ჩვენს ბევრ მწერინეს, ახალბედა იქნება თუ გამოცდილი, მაინც ვვალდება კვლავ გადასვლის ფარეგობის ასლებურ შეთოდს და თანამედროვე ფარეგობის განვითარების ბევრ საპირბორტო საკითხს.

დიდ საქმეს აკეთებს განათლების განყოფილებასთან ახალშექმნილი ბავშვთა საფარეგობა სკოლა, რომელსაც სათავეში უდგას წარსულში სახელოვანი სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი ნუგზარ ასათიანი. რა თქმა უნდა, ასე მოკლე დროში დიდ სპორტსმენებს ვერ გაზრდით, მაგრამ ის უნდა უზაზში, საქმისადმი კეთილინდობით დამოკიდებულება და შესაბამისი მონდომება, ვიმედოვნებთ, მომავალში დიდი წარმატების საწინდარი იქნება.

ახლანდელ საქართველოს სპორტკომიტეტის საფარეგობა დარბაზში გამართულ ახალგაზრდა მოფარეგობათა რესპუბლიკურ შეჯიბრებას პასუხი უნდა გავცა კითხვას: რა მდგომარეობაშია

დღეს ქართული ფარეგობა? წინასწარ ვიტყვი, რომ მომავალს იმედის თვლით შევედრებთ, ვინაიდან ქართულ ფარეგობას გამოუჩნდა მწერინეული ხელი (ვევლისხმობ მწერინელებს და საქართველოს სპორტკომიტეტს). დიას, ამ შეჯიბრებამ დაადასტურა, რომ ჩვენში ფარეგობის საქმე ამჟამად შედარებით კარგადაა: გამომჩნდნენ პერსექტიული სპორტსმენები, რომლებიც, ალბათ, სულ მალე დიდ სარბიელზე გამოვიდნენ.

ახლა თავად ტურნირის შესახებ. რამირსტ ვაეთა შეჯიბრებაში გამარჯვებულ დ. გოგინიაშვილს ვერ ვიტყვით ახალბედათ, ვინაიდან იგი კარგა ხანია საქართველოს ნაკრების წევრია და სსრ კავშირის ხალხთა V საკავშირო სპარტაკიადამდე მონაწილეობდა. სამწუხაროდ, მისი საფარეგობა რეპერტუარი მაინცდაბრუნებ არ გამოდრებულა. დავით ტყეშელაშვილი, მაგრამ ფიზიკურ მომზადებაში მოიკოვლებდა. რა შეიძლება ითქვას ამ ნაკლულ დღეს? არაფერი სასარბიელო. ეტყობა, სპორტსმენის მომზადება სტიქურად ხდება. მოფარეგობე ხათანაო ყურადღებას არ აქცევს ფიზიკური ძალის განვითარებას. უამისოდ კი მაღალ შედეგებზე ოცნებაც შედგება. და მაინც, გოგინიაშვილის გამარჯვება ამ ტურნირში კანონზომიერი იყო.


სეობას ჩვენში კარგე კარგი ტრადიციები აქვს. დამოლოს, სსსამოვნო, რომ შედარებით გამოწონდა საქმე სხვა ქალაქებში. ეს განსაკუთრებით იქმნა ქუთაისზე, რუსთავსა და ბათუმზე. ბათუმელებმა კარგა ხანს ჩრდილში იდგნენ, ახლა კი დიდ იმედს იძლევიან. რაც შეეხება სპორტსაზოგადოებებს, ტრადიციისამებრ შედარებით კარგად გამოდინა „ბურევესტნიკის“, „სპარტაკისა“ და „დინამოს“ წარმომადგენლები, რომელთა რიგებს ახლა განთიადლებიც შეემატნენ.

ბ. გოგინია, სპორტის ოსტატი.

**ბაქანიაური შედეგები**

**ქალთაში.** 1. ნ. ლაბაძე („ბურევესტნიკი“), 2. მ. გაბუნია („განთიადი“), 3. თ. ზანგორაშვილი („სპარტაკი“). **გაზაფი.** რამირსტ. 1. დ. გოგინიაშვილი („დინამო“), 2. გ. მეშველიანი („განთიადი“), 3. გ. საფარიძე („დინამო“); **ხმალი.** 1. ი. ლომიძე („ბურევესტნიკი“), 2. ი. აივაზოვი („სპარტაკი“), 3. თ. მორჩილაძე („ბურევესტნიკი“); **დაშნა.** 1. გ. კოსტავა („განთიადი“), 2. თ. მანავაძე, 3. გ. ცნობილაძე (ორივე — „ბურევესტნიკი“).

**გუნდური.** 1. „ბურევესტნიკი“, 2. „სპარტაკი“, 3. „დინამო“.



**მორიბი ტირაში**

**პორტოფილმგებადი, 80 ოქტომბერი.** დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტის“ მორიბი, 30-ე ტირაში. აი, იღბლიანი ნომრებიც: 1 (საევიციო სპორტი), 2 (ავრობატიკა), 8 (კრივი), 16 (ტანვარკიში), 25 (თხილმურებით ტრამპლინიდან ხტომა), 33 (რეგბი).

**დაქაბული**

**ბრძოლველი**

სოციალისტური ქვეყნების ეგვობრულ არბიათა მოქალაქეების ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლში გადადებული პარტიების დამთავრება მოეწყო. რიგელმა ვ. ქუთაილიაშვილი ლ. ვალასის (უზნერეთი) წინააღმდეგ ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და გაიმარჯვა. მეორე გადადებულ პარტიაში — ე. უბილავესთან (თბილისი) — რიგელს პაიკი აქვდა. მიუხედავად ამისა, ანალიზში გვიჩვენა, რომ თბილისელს, რომელმაც პარტიის გადადების წინ ბევრი უზუსტო სვლა გააცეთა, გამარჯვების იმედი აღარ უნდა ჰქონოდა. ამიტომ მეტოქენი ყაიბზე შეთხზნდნენ:

მეორე თბილისელ ოსტატს ა. იზუოზიკოვს პაიკით ნაკლები ჰქონდა ე. პრანდსტეტერთან (ჩეხოსლოვაკია) პარტიაში და მაინც გამარჯვებას მიიღწია.

მაშ ასე, ბოლო — XIII ტურის წინ ურთიკოვი დავითა ლიდეტრებს — თანაქალაქელ ი. კლოვანსა და საერთაშორისო ოსტატ ლ. ცინს (გერმ.). მათ 8-მ ქულა აქვთ. საერთაშორისო ოსტატ მ. პოდგავეცს (ოლენსა) 7,5 ქულა აქვს. პოლონელ ოსტატ ა. ადამსკის კი 7.

ბ. გუზლავი, სპორტის ოსტატი.

**3. უშრავლიოვი ჩემპიონი**

**გეგინე**

დილით გაიმართა დასკვნითი, XIII ტური. კლოვანმა მოუგო პრანდსტეტერს, იზუოზიკოვმა — ცინს, პოდგავეცმა — ადამსკის, ხოლო ა. ოუვატ (უზნერეთი) — ვალასის პარტია ყაიბით დასრულდა.

სალამოს გაიმართა ბოლო ტურში გადადებული პარტიების დამთავრება. ურთიკოვმა დაამარცხა რ. პოსტლერი (გერმ.), მოსკოველმა ვ. ლიბერზონმა — ე. ნოვაკი (ჩეხოსლოვაკია), უზილავემ — ა. ლოკასტო (პოლონეთი).

ამრიგად, 9-9 ქულით (13-დან) I-II ადგილები გაიყვეს უშრავლიოვი და კლოვანმა, მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილის მიხედვით მეგობრული არმიების შოკადრეკეთა ჩემპიონის წოდება ურთიკოვს ხვდა.

III ადგილზეა პოდგავეცი — 8,5 ქულა.

**გაიხსენა და კორესპონდენტთა საყუარდებოლი**

„ლელოს“ რედაქცია აცნობებს გაზეთის მკითხველებსა და კორესპონდენტებს, რომ ამერიკულ რედაქციაში მასაღები გამოგზავნონ სახელის, მამის სახელისა და გვარის სრული აღნიშვნით, აგრეთვე, შესატრ მისამართის მითითებით.

## სპორტსაზოგადოებრივი და უწყვეტის სპარტაკიადა

● **ბრძანანი, 30 ოქტომბერი.** სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე აქ გამართულ მძლეოსნურ შეჯიბრებაში ოლიმპიურ ჩემპიონს ფაინა მელნიკს წინამძევ ვერ შეუძალა ხელი მაღალი შედეგის მიღწევამთ: მისი ნატუროცი ნადრო 62,22 მეტრზე გაფრინდა.

● **აპელდონი, 30 ოქტომბერი.** პოლანდიის ამ ქალაქის მახლობლად მდებარე ცენტრალურ სპორტულ აეროდრომზე დიდი წარმატებით აღინიშნა მოწინავე ხაბჭოთა პარამუტისტების ერთი ჯგუფის საჩვენებელი გამოსვლები. ნათასზე მეტი მყურებელი აღტაცებით ადევნებდა თვალს სტუმრებს, რომლებმაც დამსწრეთ უჩვენეს ზუსტად ჯგუფური დამუშავების მაღალი ტექნიკა, ინდივიუალური ხტომები უახლესი საბჭოთა პარამუტებით. საპარამუტო ტექნიკის ჩვენება სავარაუდო ვაჭრობის საკავშირო გაერთიანება „აეროქსპორტმა“ მოაწყო. პოლანდიელთა სტუმრები იყვნენ მსოფლიო რეკორდსმენი გ. პრევალოვა, სსრ კავშირის ჩემპიონატის პირბორტი მ. კურიცინა, მ. პანტელეევი, ა. სადულინი, ა. ბელენკო, ბ. კორბატოვი.

● **დუშანბე, 31 ოქტომბერი.** რუსეთის ფედერაციის ველსინგდესტმა ქალბებმა მოიგეს ფარეგობის ხეობაზე გამართული 30-კილომეტრის გუნდური რბოლა. ეს შეჯიბრება სსრ კავშირის თახის გათამაშების პროგრამაში შედიოდა. II ადგილზე გავიდნენ ლატვიის წარმომადგენლები, ხოლო III ადგილი დაიკავა რსფსრ-ს მეორე ნაკრებმა. ვაიებმა დუშანბეს ქალბებმა მ-კილომეტრის წრიული რბოლა — კრიტიკუმი გამართეს. ყველას აჯობა მინსკელმა ვ. კამენსკიმ.

## თქროს გუნდის შევრები

სსრ კავშირის 1972 წლის ჩემპიონი ფეხბურთში — ვოროშლოვგარაის „ზარია“. სხედან (მარცხნიდან): ი. ელისიერი, ვ. ხტარკოვი, ვ. კუზნეცოვი, ა. ტაჩინკო, ა. კუხნოვი, ვ. მალიგინი, ს. კუზნეცოვი, ვ. აბრამოვი, ვ. ონიშინკო; დგანან — გუნდის ექიმი ა. ოლეიკი, ვ. სემიონოვი, ვ. ბელოუსოვი, ა. შულციკო, ა. ფურაელი, მ. ფორკაში, ვ. კოპი, ფურსოა მწვრთნელი ვ. ზონინი, ვ. ივვიკოვი, ნ. პინჩუკი, ი. ვახანიანი, მწვრთნელი ვ. გლუბაროვი.

ვ. უს და-ხინის ფოტო [საქდესი].



**დუბლიორები რუსთავეთი ითამაშებენ**

დღეს შედგება თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „სპარტაკის“ დუბლიორ ფეხბურთელთა კალენდარული მატჩი. თამაში ჩატარდება რუსთავეთი, „მეტალურგის“ სტადიონზე. დასაწყისი 17 ს. 50 წთ.

**თბილისი სკიკაზუ**

გაზეთი

შეხვედრით. ასკ-ს სტადიონი. I ნომბერი. საქართველოს პირველობა. ასკ (თბილისი) — „გიგანტი“ (ლათურთი). დასაწყისი 14 ს.









# ინსტალი

## 10 დღე

# ორ ან ში



დღას გეონომიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ბუნებრივი, სპორტიკ ვითარდება. ამას გარდა, არსებობს კონკრეტული მიზნები: 1974 წელს ირანში უნდა ჩატარდეს აზიის მორიგი თამაშები და მასპინძლებს არ სურთ თავი შეიკავებინონ. ასეა თერანში დიდი სპორტული მშენებლობა განხორციელდა. ჩვენ ვიყავით 100000-ადგილიან, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ სტადიონზე. ელექტროტაბლოზე სიამოვნებით წაიკითხეთ წარწერა: „სალამი საქართველოს სპორტსმენებს!“. თერანში, რომელიც 4,5 მილიონ მცხოვრებს ითვლის, ბევრი სხვა კარგი სპორტული ბაზაა.

ირანში ბევრი საბჭოთა სპეციალისტი მუშაობს, მათ შორის, საქართველოს წარგზავნილებიც. ხვდებიან თანამშრომლებს? — დიას, ხშირად. ისპაჰანიდან 20 კილომეტრის დაშორებით ახალი ქალაქი არეზანი შენდება. იქ მუშაობს არქიტექტორი ზურან ჩაჩავა — საკავშირო კატეგორიის მსახი წყალბურთში. მისი ძმა როსტომი თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდს წვრთნის. მშენებ, მასაჟირველია, ერთმანეთს შეხვდნენ. ზურაბი რამდენიმე ჩვენს საწვრთნელ და ოფიციალურ თამაშსაც მსაჯობდა. მისმა სიზუსტემ მასპინძლების დიდი აღტაცება გამოიწვია. თქვენ, შემდეგშიც ხშირად ვთხოვთ ამ საქმეში დახმარებასო. იქ შეხვდით ნადეჟდა დვალისვილსაც — კელსინისა და მელბურნის ოლიმპიადების ბრინჯაოს პრიზიორს. იგი ფიზკულტურას ასწავლის საბჭოთა საელოსთან არსებულ სკოლაში, მისი მეუღლე ანზორი კი, განათლებით ინჟინერი, თერანში დიდი მაცივრის მშენებლობას ხელმძღვანელობს. იგი იქ დიდ ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობასაც ეწევა — ატარებს შეჯიბრებებს, თავად გამოდის

საბიბლესე. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საბჭოთა საელოს თანამშრომელს თენგიზ ტყეშელავას, რომელიც ყველგან თან გვახლდა, ბევრი რამ საინტერესო გავიწყნა. ვხვდებით იქაურ ქართველებსაც, რომლებიც ქართულად კარგად ლაპარაკობენ და ალბათ წესებიც შენახული აქვთ. სამშობლოში გამომგზავნების წინ ისინი გულითადად, თანაც, სვედიანად დაგვემშვიდობნენ.

დასასრულ, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ ჩვენს დელეგაციას ირანში განსაკუთრებით გულთბილად ხვდებოდნენ. ირანელი ხალხი ისწრაფვის ჩვენს ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისკენ.

საუბარი ჩაიწერა  
ბ. ძვანიაძე.

სურათზე: საქართველოს სპორტული დელეგაცია თერანში.

9-18 ოქტომბერს ირანში სტუმრად იყვნენ საქართველოს უძლიერეს მოცურავეთა ჯგუფი და თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდი. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს მასპინძლებთან ამაზნავური მატჩები ჰქონდათ. მწვრთნელებმა მ. ტატოშვილმა, ლ. იოაკიმიძემ, რ. ჩაჩავამ, საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ვ. გოიაშვილმა დიდი მეთოდური დახმარება გაუწიეს ამ სახეობათა ირანულ სპეციალისტებს — ჩაატარეს კონსულტაციები, გაუზიარეს გამოცდილება, პასუხი გასცეს შეკითხვებზე. ამ დონისძიებამ უფოლდ ხელი შეუწყო ირანისა და საქართველოს სპორტსმენთა დამეგობრებას. „დინამოს“ კორტსმონდენტმა საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს, საქართველოს სპორტკომიტეტის მასობრივი და საწყლოსნო სახეობების განყოფილების უფროსს ვ. ჰაბიანს სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

ბირველ ყოვლისა, თუ შეიძლება, გვითხარით რამდენიმე სიტყვა დელეგაციის შემადგენლობაზე.

დელეგაცია დიდი არ იყო. მოცურავეთა გუნდში შევიდნენ თინათინ ლეკვიშვილი, ვიტორ კრასკო, იგორ ლისევიცი, ანდრია იორდანიშვილი, ლიუდმილა სუინა, ალექსანდრე ბავენი. არც წყალბურთელთა გუნდი იყო სრული: მურთაზ გულედანი, ვლადიმერ ისელიძე, ნოდარ კურტიანიძე, ვასილ სანაძე, ითარ იოსელიანი, თენგიზ უშანგიშვილი და ვლადიმერ არუთიანოვი. მაგრამ, როგორც მასპინძლებმა გვითხრეს, ამ სტუმრობით ჩვენ მაინც ხელი შევუწყვეთ ირანში წყალბურთისა და ცურვის განვითარებას.

უფრო კონკრეტულად?

ბირველ ყოვლისა უნდა მოგახსენოთ ჩვენი ვიზიტის სპორტულ მხარეზე. ირანის დედაქალაქში — თერანში წყალბურთელებმა სამი მატჩი ჩაატარეს — ახალგაზრდულ გუნდთან, თერანისა და ირანის ნაკრებ კოლექტივებთან (ფაქტიურად, ეს ერთი და იგივე გუნდი იყო). სამივე მატჩი ჩვენებმა მოიგეს — 11:4, 10:3, 7:6. მოცურავეებმაც თითქმის ყველა სახეობაში გაიმარჯვეს გარდა ბრასისა, ვინაიდან

ჩვენს გუნდში ბრასისტი არ იყო. ერთი სიტყვით, ჩვენი სპორტსმენების უპირატესობა უდავო იყო. ეს იმით აიხსნება, რომ ცურვა და წყალბურთი ახალადა იღვამს ფეხს ირანში. მათ ჯერჯერობით ძლიერი სპორტსმენები არა ჰყავთ, მაგრამ ამ სახეობების განვითარებისთვის ბევრი რამ კეთდება. კერძოდ, ჩვენ გვითხრეს, რომ ამ ბოლო ხანს ირანში 82 მარტივი ტიპის აუზი აიკოცურეს მასობრივად სწავლების სთვის.

ჩვენს შეჯიბრებებზე დიდძალი მაყურებელი დადიოდა. ბევრს წერდნენ პრესაში, ეწვიებოდა ტელეგადამცემები. რამდენიმე ერთობლივი საწვრთნელი მეგობრებმა ჩაატარეს ირანულ მოცურავეებთან და წყალბურთელებთან. შემდეგ გავეცანი თერანის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ვიყავით ეთნოგრაფიულ მუზეუმში, სამ სპორტულ კლუბში. ორჯერ მიღება მოგვიწყო ფისიკური აღზრდის ორგანიზაციაში.

თქვენი აზრით, რით აიხსნება ირანის მისწრაფება ამ ქვეყნისთვის არატრადიციული სახეობების — ცურვისა და წყალბურთის განვითარებისკენ?

— საქმე ისაა, რომ ირანი სწრაფად ვითარდება. აღმავლობის გზაზე

### გაზაქარებით რამდენიმე

უკვე ვიტყობინებოდით, რომ დუშანბეში მშვილდოსანთა საკავშირო თაისის გათამაშებაში ქალთა შორის ყველაზე ადრე ვეროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, ქუთაისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ქ. ლოსაბერიძემ. მაშინ საქართველოს ნაკრების სხვა წევრთა შედეგები ჩვენთვის ცნობილი არ იყო, ამიტომ ახლა ვუბრუნდებით დაბეჭდილს.

სსრ კავშირის თაისი ქალებისა და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე არ გათამაშებულა: ამ ძვირფას ჯილდოს მიიღებდა კოლექტივი, რომელიც საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველაზე მეტ ქულას დააგროვებდა. ყველ კოლექტივებს 4 ვაჟი და ამდენივე ქალი გამოჰყავდა, ჩათვლაში კი 3-3 საუკეთესო შედეგი შედიოდა.

თაისთვის მეტროლოგი „მ-1“ ვარჯიშს ასრულებდნენ, ესე იგი ოთხივე დისტანციის ცეცხლის საზე თითოჯერ გამოდიოდნენ. აქ კი საბოლოო ჯამში ყველას აჯობეს და თაისი მოიპოვეს უკრაინის წარმომადგენლებმა. ამ რესპუბლიკის ვაჟთა და ქალთა ნაკრებმა 7124 ქულა მოაგროვა და 207 ქულით აჯობა II ადგილზე გასულ მსოქოვის კოლექტივს.

III ადგილზე ესტონელები გავიდნენ — 6894 ქულა. საქართველოს გუნდს, რომელმაც VI ადგილი დაიკავა (6770), ლენინგრადისა (6877) და რსფსრ-ს (6780) მშვილდოსნებმაც გაუსწრეს.

რატომ დასჯერდა ჩვენი ნაკრები VI ადგილს? ამას პირადი ტურნირის

## რეკორდების მიუხედავად

შედეგების გაცნობა ავიხსენს.

ქალთა ტურნირში სამივე ოლიმპიელი მონაწილეობდა. 70 მეტრიდან სროლაში დაწინაურდა ლ. ხარიტონოვა (უკრაინა), რომელმაც 298 ქულა მოაგროვა. ლოსაბერიძემ მასთან 20 ქულა წააგო, სოლო მეორე უკრაინელი ვ. კოვანს 14 ქულით ჩამორჩა. მეორე დისტანციაზე (60 მ) ლოსაბერიძე ხარიტონოვას გაუთანაბრდა. ვინაიდან ვეროპის ჩემპიონმა 312 ქულა დააგროვა (ეს საქართველოს რეკორდია), ხარიტონოვამ კი მხოლოდ 292, ორი დისტანციის ჯამში (605 ქულა) ლიდერობა ხელთ იგდო კოვანსთან.

50 მეტრზე შეჯიბრებას ლიდერები არ შეუცვლია. ხარიტონოვამ ამჯერად 303 ქულა აჩვენა (სამი დისტანციის ჯამში — 893 ქულა), ლოსაბერიძემ 296 (886), კოვანმა — 294 (893). ასე რომ, გამარჯვების ყველა შანსი უკრაინელთა მხარეს იყო, მაგრამ ქვეყანაში თითქმის შეუძლებელი შეპოვ: ბოლო დისტანციაზე (30 მ) 336 ქულა მოაგროვა (საქართველოს რეკორდი), ჯამში 1222 ქულა აჩვენა და კოვანს

2 ქულით გაუსწრო, ხარიტონოვა კი 7 ქულით ჩამოიტოვა.

მაგრამ მატჩო ლოსაბერიძის გამარჯვებაში საქმეს ვერ უშველა. სსრ კავშირის ხალხთა V საპარტაკიადის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, თბილისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ლ. ასატუროვა-სორდიამ და ქუთაისელმა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. რიჟაძემ ლოსაბერიძის ნადავლს მხოლოდ 2257 ქულა დაუმატეს. მართალია, ტრიოს შედეგი — 3479 ქულა — საქართველოს რეკორდია, მაგრამ ასატუროვას გან მხოლოდ 1156 ქულას და XIII ადგილს არავინ ელოდა. მას აჯობა თბილისის მე-9 სკოლის X კლასის მოსწავლემ, 16 წლის გ. სუმბაძემ, რომელმაც 1160 ქულა მოაგროვა და პირველად შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი.

სუმბაძემ შეჯიბრებაში საქართველოს გოგონათა 3 რეკორდი დაამყარა: 50 მეტრზე სროლაში — 292, 30 მეტრზე — 329 და ჯამში — 1160 ქულა.

საქართველოს ვაჟთა კოლექტივს

თუნდაც ისეთივე შედეგი რომ მოეპოვებინა, რაც ქალთა გუნდმა შეძლო, ნაკრები, სულ ცოტა, II ადგილს მაინც დაიკავებდა: მაგრამ ვაჟები ჯერ კიდევ სუსტად გამოდიან. თბილისის პეილის-ტიტუსის სტუდენტი გ. არჩაძე 1136 ქულას დასჯერდა, ქუთაისის პეილის-ტიტუსის სტუდენტი გ. კვანტრი-შვილმა და გ. სოსაძემ შესაბამისად 1082 და 1072 ქულა აჩვენეს (ჩათვლაში ეს სამი შედეგი შევიდა), საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ნ. პატატინივილი კი 1052 ქულით დაგაყვინთა, მაშინ, როცა გამარჯვებულმა მ. პეუნოვამ (ლენინგრადი) 1215 ქულა მოაგროვა, განსჯერდა თვალსაჩინოა.

მართალია, საქართველოს რეკორდები ვაჟებმაც გააუმჯობესეს, როცა ტრიომ 3291 ქულა მოაგროვა, სოლო არჩაძემ 70 მეტრზე სროლაში 293 ქულა მიჰიღო. მაგრამ მათგან უსლოიერესთ ოცეულშიც კი ვერავინ მოხვდა.

საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი მშვილდოსნობაში.

სურათზე: ც. სუმბაძე, გ. სანაიას ფოტო.

### ზანთავონი

დამთავრდა რაიონის სპორტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ცურვისა და ტყვიის სროლაში. ცურვაში განათლების განყოფილების გუნდმა გაიმარჯვა, სროლაში — „ვანიადის“ კოლექტივმა.

სოფელ ცხრაწყაროს საშუალო სკოლის მოჭადრაკეებმა თავიანთი ჩემპიონატი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს

### ჩამოვიხივე უკრაინის

მიუძღვნეს. გოგონათა ტურნირში, რომელშიც 10 მისწავლე მონაწილეობდა, I ადგილი დაეკავა ფ. ბახტაძემ — 8 ქულა. ჰაბუკეაში ჩემპიონი გახდა გ. კუმბაძე. ათ შეხვედრაში მან 9 მოიგო და 1 ყაიმით დაამთავრა.

ა. განუბარავა.

## სვანეთის გზებით

ქუთაისის ტურისტულმა კლუბმა „ოქროს ჩარდახმა“, ღოსაფისა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტებმა მოაწყვეს ავტო-მოტოტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: ქუთაისი — ცაგერი — ლენტეხი — ყორუნდაში — ზაგაროს ზეკარი — უშგული — მესტია — ჭვარბი — გურჯესი — ზუგდიდი — ქუთაისი.

ლაშქრობა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ცაგერში, მესტიაში, უშგულში, ყველგან, სიდაც კი გავიარეთ, მოსახლეობა პოლთბილად გვხვდებოდა.

ს. კიშიბაძე, „ოქროს ჩარდახის“ ტურიზმის ინსტრუქტორი.

სურათზე: მოლაშქრენი მესტიიდან გავსლის წინ. ავტორის ფოტო.



